ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულება

განკარგულება:**გ-13. 13242354**

თარიღი:**22/08/2024**

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციისათვის უსასყიდლო სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ თანხმობის მიცემის თაობაზე

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ.გ'' ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის მე-6 პუნქტის, ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების გამტკიცების შესახებ'' საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა ახალციხის მუნიციპალიტეტის მერს, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის ფორმით - თხოვებით, სამსახურეობრივი საჭიროებიდან გამომდინარე, გადასცეს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას, ახალციხის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონება: ავტომანქანა CHEVROLET სედანი COBALT (გამოშვების წელი 2024, ფერი რუხი 1/8, სარეგისტრაციო ნომერი YA711AY, სატრ. საშ. საიდენტიფიკაციო ნომერი XWBJA69V9RA099044).

   საფუძველი სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციის 2024 წლის 13 აგვისტოს N 411/1 (13/08/2024წ N05-1224226127-12) მომართვა.

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. ახალციხე, მებაღიშვილის ქ. N60ა).

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი